



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

განცხადება №1

5 იანვარი, 2008წ.

10:00 საათი

დღეს, 2008 წლის 5 იანვარს ტარდება საქართველოს რეგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, 76 საარჩევნო ოლქში, გარდა კონფლიქტური ზონებისა. საარჩევნო უბნების საერთო რაოდენობაა 3505. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით შედგენს 3 372 179.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (“სამართლიანი არჩევნები”) ახორციელებს 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ფართომასშტაბიან მონიტორინგს და ფარავს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უბნების უმრავლესობას.

5 იანვრის 10 საათისათვის “სამართლიანი არჩევნების” ინფორმაციით კენჭისყრა დაიწყო მშვიდ გარემოში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. თუმცა, “სამართლიანი არჩევნების” დამკვირვებლებს საუბრო საარჩევნო კომისიების მხრიდან შეექმნათ დაშვების პრობლემა რამოდენიმე უბანზე. ასეთი უბნებია № 9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის № 45 უბანი, სადაც უკვე დაიწერა საჩივარი. ორგანიზაციის დამკვირვებლები ასევე არ დაუშვეს №79 ბათუმის საარჩევნო ოლქის №37, №54 და № 35 საარჩევნო უბნებზე. № 35 ხაშურის საარჩევნო ოლქის № 6 უბანზე და №50 საჩხერის №25 საარჩევნო უბანზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ “სამართლიანი არჩევნების” იურისტების ჩარევის შემდეგ დამკვირვებლები დაშვებულ იქნენ ზემოხსენებულ უბნებზე.

№9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქის № 52 უბანზე დილის 6:30 საათზე მისულ დამკვირვებელს, იმ დროისათვის უბანი უკვე გახსნილი დახვდა. ამასთან, საარჩევნო უბნის ბეჭდებსა და ბიულეტენებს ლუქი უკვე მოხსნილი ჰქონდათ.

№24 დმანისის საარჩევნო ოლქის №22 უბანზე დაგვიანდა საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ განსხვავებული ზომისა და შეფერილობის კონვერტების მიტანა უამინდობის გამო. №37 ახალციხის ოლქის №6 უბანზე, 1340 ბიულეტენის ნაცვლად მიღებულია 1200.

№40 ახალქალაქის საარჩევნო ოლქის №1, №2, №3, №4, №5, №6, №13, №22, №23; №46 ლენტეხის საარჩევნო ოლქის №16 და №55 ხონის საარჩევნო ოლქის №27 საარჩევნო უბნები დაგვიანებით გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ახალქალაქის ოლქის არცერთ საარჩევნო უბანზე არ ჩატარებულა წილისყრა.